

შპს „ინჟინერთა ჯგუფი“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ინჟინერთა ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2020-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31/12/2020 ლარი	31/12/2019 ლარი	31/12/2018 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	478 303	794 763	781 585
არამატერიალური აქტივები	5	7 005	7 813	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		485 308	802 576	781 585
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2 047 369	1 004 372	27 016
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		733	54 922	77 619
სხვა მიმდინარე აქტივები	7	26 807 628	19 841 754	16 462 906
სულ მოკლევადიანი აქტივები		28 855 731	20 901 048	16 567 542
სულ აქტივები		29 341 039	21 703 624	17 349 126
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	306 986	318 073	458 035
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		306 986	318 073	458 035
სულ ვალდებულებები		306 986	318 073	458 035
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		48 666	66	66
გაუნაწილებელი მოგება		28 978 587	21 378 685	16 884 225
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		6 800	6 800	6 800
სულ საკუთარი კაპიტალი		29 034 053	21 385 551	16 891 091
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		29 341 039	21 703 624	17 349 126



შპს „ინჟინერთა ჯგუფი“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2020- 31.12.2020 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2020 ლარი	2019 ლარი
ამონაგები	9	2 784 602	3 884 589
ამონაგების თვითღირებულება		(228 168)	(1 885 298)
საერთო მოგება		2 556 434	1 999 291
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(214 089)	(586 425)
ფინანსური ხარჯი	11	4 820 179	4 186 817
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	12	2 154 183	833 819
მოგება დაბეგვრამდე		9 316 707	6 433 502
მოგების გადასახადი		(31 096)	(35 121)
წმინდა მოგება/ზარალი		9 285 611	6 398 381



შპს „ინჟინერთა ჯგუფი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2020 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	სარეზერვო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2018	66	6 800	16 884 225	16 891 091
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-	(1 939 042)	(1 939 042)
პერიოდის მოგება	-	-	6 433 502	6 433 502
ნაშთი - 31.12.2019	66	6 800	21 378 685	21 385 551
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	48 599	-	-	48 599
გაცემული დივიდენდები	-	-	(1 716 804)	(1 716 804)
პერიოდის მოგება	-	-	9 316 707	9 316 707
ნაშთი - 31.12.2020	48 666	6 800	28 978 587	29 034 053

შპს ინჟინერთა ჯგუფი - ს
დირექტორი: იმედა კუბიანიძე



შპს „ინჟინერთა ჯგუფი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინჟინერთა ჯგუფი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 10/10/2013. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სააკაძის დაღმართი, N11).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის დირექტორი: იმედა კუხიანიძე (პ.ნ 53001014479)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც იქნა გაწეული.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ცვლილებები წარდგენაში

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც შესწორებული / რეკლასიფიცირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

	კორექტირებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება / რეკლასიფიკაცია
საიჯარო ვალდებულება	1 666	-	1 666	კორექტირება
სავაჭრო ვალდებულებები	455 564	457 230	(1 666)	კორექტირება
	კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	ცვლილება / რეკლასიფიკაცია
სხვა არამატერიალური აქტივები	7 813	-	7 813	კორექტირება
ძირითადი საშუალებები	794 763	802 576	(7 813)	კორექტირება
გაყიდვების თვითღირებულება	(1 885 298)	(1 890 891)	5 593	კორექტირება
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(213 587)	(208 628)	(4 959)	კორექტირება
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(58 257)	(57 622)	(635)	კორექტირება
მოგების გადასახადის ხარჯი	(35 121)	-	(35 121)	კორექტირება

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მანქანა დანადგარები	აღჭურვილობა და სხვა
პერიოდი 01/01/2018	362 000	423 766	60 082
შემოსვლა	-	822	39 209
ცვეთა	-	(88 259)	(16 036)
ჩამოწერა	-	-	-
პერიოდი 31/12/2018	362 000	336 329	83 256
პერიოდი 01/01/2019	362 000	336 329	83 256
შემოსვლა	-	112 259	28 309
ცვეთა	-	(91 031)	(15 481)
ჩამოწერა	-	(5 586)	(15 290)
პერიოდი 31/12/2019	362 000	351 970	80 793
პერიოდი 01/01/2020	362 000	351 970	80 793
შემოსვლა	-	172 574	6 653
ცვეთა	-	(115 722)	(17 965)
ჩამოწერა	(362 000)	-	-
პერიოდი 31/12/2020	-	408 822	69 481

5. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამები
პერიოდი 01/01/2018	-
შეძენა	-
ცვეთა	-
პერიოდი 31/12/2018	-
პერიოდი 01/01/2019	-
შეძენა	8 076
ცვეთა	(263)
პერიოდი 31/12/2019	7 813
პერიოდი 01/01/2020	7 813
შეძენა	-
ცვეთა	(808)
პერიოდი 31/12/2020	7 005

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019	2018
მოთხოვნები სამშენებლო მომსახურებიდან	2 047 369	1 004 372	27 016
სულ	2047369	1004372	27 016,00

7. სხვა მიმდინარე აქტივები

	2020	2019	2018
გადახდილი ავანსი	25 304	298 305	288 564
გაცემული სესხი და მისაღები პროცენტები	14 034 809	7 880 069	3 447 332
საგადასახადო აქტივი	337 331	667 913	1 229 454
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ	12 047 555	10 826 699	11 351 565
სამშენებლო მასალები	362 629	168 769	145 991
სულ	26 807 628	19 841 754	16 462 906

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2020	2019	2018
საიჯარო ვალდებულება	-	-	1 666
სავაჭრო ვალდებულებები	300 490	273 141	455 564
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2 906	-	-
სხვა ვალდებულებები	3 591	44 932	805
სულ	306 986	318 073	458 035

9. ამონაგები

	2020	2019
ამონაგები სამშენებლო საქმიანობიდან	2782254	3861738
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	2348	22851
სულ	2 784 602	3 884 589

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
დასაქმებულთა ანაზღაურება	1 909	264 063
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	134 495	106 776
იჯარის ხარჯი	8 211	2 000
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	-	49
საგადასახადო ხარჯი	4 589	4 275
იურიდიული მომსახურების ხარჯი	-	36 151
საკანცელარიო ხარჯი	140	362
საკონსულტაციო ხარჯი	37 015	64 829
სხვა ხარჯი	27 731	107 921
სულ	214 089	586 425

11. ფინანსური ხარჯი / შემოსავალი

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	4 820 179	4 190 323
საპროცენტო ხარჯი	-	(3 506)
სულ	4 820 179	4 186 817

12. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2020	2019
საკურსო სხვაობა	2 516 957	892 076
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	(362 000)	(20 877)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(774)	(37 380)
სულ	2 154 183	833 819

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 17 სექტემბერს.

შპს ინჟინერთა ჯგუფი - ს
დირექტორი: იმედა კუხიანიძე

